

## მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები



გარემოსდაცვითი და სოციალური  
სამართლიანობისთვის  
საქართველოში

### საქართველოს კლიმატის სამოქმედო გეგმის „ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორის“ თავის საბოლოო სამუშაო ვერსიაზე

20 მაისი, 2020

#### ზოგადი შენიშვნები

საქართველოს მეორე განახლებული ორწლიურ ანგარიშში გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი აღნიშნულია, რომ „ენერჯეტიკის სექტორიდან ემისიების დიდი წილი მოდის საწვავის წვავზე (81% 2015 წელს), დარჩენილი 19% კი აქროლადი ემისიების წილია... 2015 წელს ენერჯეტიკის სექტორიდან სათბურის აირების ემისიებში უდიდესი წილი მოდიოდა შემდეგ წყარო კატეგორიებზე: ტრანსპორტი - 38%, სხვა სექტორები - 18%, ნავთობი და ბუნებრივი აირი - 17%, ენერგოინდუსტრია - 15%, გადამამუშავებელი მრეწველობა და მშენებლობა - 10%.<sup>1</sup>“ საინტერესოა, კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის რომელ ნაწილი მოიცავს დარჩენილ ნავთობისა და ბუნებრივი აირის 17%, ვინაიდან სხვა თავებში ეს საკითხები ვერ იქნება მოცული<sup>2</sup>. დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ენერჯის გენერაციაზე, ფაქტობრივად ელექტროენერჯიაზე, ისეთი საკითხები კი, როგორცაა ენერჯის მოხმარება გათბობის მიზნით და ენერგოეფექტიანობა, რომელიც ენერგოგენერაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია, როგორც მოხმარების. ისე, მიწოდების თვალსაზრისით და საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სათბური ემისიების შემცირებაში, საერთოდ არ არის ასახული.

ანგარიშში მოყვანილია ინფორმაცია, თუ რამდენია ერთ სულზე მოხმარებული ენერჯია საქართველოში, რეგიონსა და ევროკავშირში. თუმცა, საერთოდ არ არის ნახსენები ქვეყნის ენერგოინტენსივობის მაჩვენებელი, რომელიც აჩვენებს, რამდენად ეფექტიანად იხარჯება ენერჯია მშპ-ს საწარმოებლად, რა მიმართულებით არის ქვეყანაში პრობლემა და რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია არ არის გაანალიზებული. ასევე, 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმაში ვერ ვხედავთ, თუნდაც, ამ მიმართულებით დასაწყებ დაგეგმვის სამუშაოებს.

გეგმას აკლია ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილები, როგორცაა ენერჯის მოხმარება გათბობისა და საკვების მომზადების მიზნით, ენერგოეფექტიანობა, მათ შორის გენერაცია/დისტრიბუციაში, კვლევა და ინოვაცია. პრობლემატურია შეფასების ინდიკატორებიც (იხ. ქვევით).

<sup>1</sup>საქართველოს მეორე განახლებული ორწლიური ანგარიში გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019

<sup>2</sup> შენიშვნა წინამდებარე დოკუმენტზე: კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი თავი. ამ თავის ქვეშ იქნება 7 სექტორი. ყველა მსგავსი სტრუქტურით:

1. ენერჯის გენერაცია და გადაცემა, 2. ტრანსპორტი, 3. შენობები, 4. სატყეო, 5. სოფლის მეურნეობა, 6. ნარჩენების მართვა, 7. მრეწველობა

თბილისი, 0179, საქართველო  
ფალიაშვილის ქ.39ბ, IV სართ.  
ტელეფონი: (995 32) 22 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
გვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

### 1.1.1. არსებული ვითარება და სექტორის განვითარების ტენდენციები

ენერგოსექტორში არსებული ვითარების აღწერისას საჭიროა წარმოდგენილი იყოს დეტალური საბაზისო მონაცემები (მათ შორის, ენერჯის მოხმარების სტრუქტურის შესახებ) და არსებული გამოწვევები, რათა სამოქმედო გეგმაში სწორად განისაზღვროს სათანადო ღონისძიებები. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.

ანგარიშის თანახმად, „ელექტროენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორი შედგება ჰიდრო, ქარისა და თბოელექტროსადგურებისგან (ბუნებრივი აირი და ქვანახშირი), რომელთა საერთო დაყენებული სიმძლავრე 4,179 მგ/ვტ-ია“. საინტერესოა, რომელ ქვანახშირის სადგურს გულისხმობს ანგარიშის ავტორი<sup>3</sup>.

ქვეთავში - „სექტორის განვითარების ტენდენციები და სათბურის აირების მოქმედი ფაქტორები“ ნათქვამია, რომ „ელექტროენერჯიაზე მოთხოვნის ზრდა გამოწვეულია მშპ-ის ზრდით და ზაფხულში ტემპერატურის მატებით, რაც ჰაერის კონდიციონირებისთვის საჭირო ელექტროენერჯის გაზრდილი მოხმარების მიზეზი გახდა“. დოკუმენტში არ არის მითითებული რომელ კვლევას ან ანალიზს ეყრდნობა ანგარიში, როდესაც ენერჯის მოხმარების ზრდის მთავარ მიზეზად სახელდება კონდიციონირებისთვის საჭირო ელექტროენერჯია. ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკოს) ვებ-გვერდზე წარმოდგენილი ბალანსის მიხედვით, უკანასკნელ წლებში ენერჯიაზე მზარდი მოთხოვნა კრიპტოვალუტის მწარმოებლებთან და ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონთან უფრო არის დაკავშირებული, ვიდრე კონდიციონირებასთან. მაგალითად, მხოლოდ კრიპტოვალუტის მწარმოებელმა კომპანია ბიფედისიმ (ბითფიურიმ) 2019 წელს მოიხმარა 534.2 მილიონი კვტ.სთ ენერჯია, ანუ უფრო მეტი ვიდრე რუსთავის ფოლადმა (114.8 მლნ კვტ.სთ), ჯეოსთილმა (87 მლნ კვტ.სთ), რუსთავის ამოტმა (200.8 მლნ კვტ.სთ), ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ (78.4 მლნ კვტ.სთ) და რუსელოისმა (53 მლნ კვტ.სთ) ერთად<sup>4</sup>. რაც შეეხება თავად ენერჯიაზე მოთხოვნის სტრუქტურასა და დროში განაწილებას, ასეთი ინფორმაცია დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის.

ამასთან, სექტორში დაბალნახშირბადიანი მიდგომის განვითარების მთავარ ბარიერად დასახელებულია „იმპორტირებული ენერგორესურსების წამყვანი როლი, ისევე, როგორც ადგილობრივი განახლებადი წყაროების არასაკმარისი გამოყენება“. იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის ელექტროენერჯის გენერაციის 80%-ზე მეტი მოდის არსებულ ჰიდროელექტროსადგურებზე და ქმნის სეზონურ დისბალანსს, არ არის ახსნილი, როგორ უნდა უპასუხოს ახალი განახლებადი გენერაციის ობიექტებმა არსებულ გამოწვევებს. მაგალითად, ესკოს მონაცემებით, 2019 წელს ჰიდროელექტროსადგურების მიერ (93 ჰესი) სულ გამოშვებული 8.9 მილიარდი კვტ.სთ-დან, მხოლოდ 1.119 მილიარდი კვტ.სთ მოდის პრობლემურ 4 თვეზე (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი) და ისიც ძირითადად ენგურისა და ვარდნილჰესების კასკადის დამსახურებით (822.2 მლნ კვტ.სთ). შესაბამისად, გაუგებარია, როგორ ჩაანაცვლებს ახალი ჰესი იმპორტირებულ ენერჯიას ან გადაწყვეტს სეზონური დისბალანსის პრობლემას.

გარდა ამისა, აუცილებელია, სამოქმედო გეგმაში, რაოდენობასთან ერთად, შეფასების ინდიკატორად განისაზღვროს ამა თუ იმ გენერაციის ობიექტის მიერ წარმოებული ენერჯის ფასიც და პროექტის განხორციელების ვადები. პრობლემურ პერიოდებში ენერჯის წარმოების შესაძლებლობის, ენერჯის ფასისა და ვადების მიხედვით კი უნდა მოხდეს გენერაციის ობიექტების პრიორიტეტიზაცია. ამისთვის კი, გეგმა უნდა მოიცავდეს განახლებადი ენერჯიების შედარებით ანალიზს. შედარებითი ანალიზის შედეგად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ისეთ ობიექტებს, რომელიც ყველაზე ეფექტურად (რაოდენობა, ფასი) პასუხობს ენერჯეტიკის სექტორში ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

### მიზნები და ამოცანები

დოკუმენტის თანახმად, სამოქმედო გეგმის მიზანია, 2030 წლისთვის ენერჯის გენერაციისა და გადაცემის სექტორში სათბური აირების ემისიების 10%-ით შემლუღვა მიმდინარე ტენდენციასთან შედარებით. ამ მიზნის

<sup>3</sup> საქართველოს 2020 წლის ელექტროენერჯის ბალანსი, ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი, 2020

<sup>4</sup> საქართველოს 2019 წლის ელექტროენერჯის ბალანსი, ელექტროენერჯეტიკული ბაზრის ოპერატორი, 2019

მისაღწევად წარმოდგენილია ორი ამოცანა: 1. პოლიტიკის დოკუმენტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რაც გამოიწვევს საბურთის აირების ემისიების შემცირებას; და 2. შესაძლებლობებისა და მზადყოფნის გაძლიერება, რათა მომავალში განხილულ იქნას დამატებითი პოლიტიკის დოკუმენტებისა და ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა.

საინტერესოა, რომ ამოცანა 2-ს - მზადყოფნისა და შესაძლებლობების გაზრდა მომავალში დამატებითი პოლიტიკის დოკუმენტებისა და ღონისძიებების განხორციელებლად, სამოქმედო გეგმის ავტორთა აზრით, არ ექნება პირდაპირი ზეგავლენა 2030 წელს მისაღწევ მიზანსა და შედეგზე, რაც ძალიან პრობლემურად გვისახავს საქართველოს სახელმწიფოს როლს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლისთვის. ამასთან, ზოგიერთი დოკუმენტის შემუშავების დაწყების დროდ, რომელიც მომავალში უნდა დასრულდეს, 2015 წელი გვევლინება, თუმცა საბოლოო თარიღი ასევე არაა განსაზღვრული. მაგალითად, საინტერესოა, იქნება თუ არა ეს დოკუმენტები მზად 2023 წელს.

ხოლო ამოცანა 1 - 2021 წლამდე განხორციელებული კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტები და ღონისძიებები (ხელახლა დადასტურებისა და ინფორმაციისათვის), საერთოდ არ შეიცავს პოლიტიკის დოკუმენტებს და ძირითადად ეყრდნობა კომერციული სექტორის მიერ განხორციელებულ დოკუმენტებს, რომლებიც თავისთავად არც ერთი სქემისა და გეგმის ნაწილს არ შეადგენენ. სამოქმედო გეგმაში განვიხილავთ ქმედებები შემოიფარგლება მხოლოდ ახალი გენერაციის ობიექტების მშენებლობით (კერძო ინვესტიციები) და სრულად გაურკვეველია ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს როლი, ქვეყნის ენერგეტიკული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობის პირობებში.

ენერგოეფექტიანობის სამოქმედო გეგმის შემუშავება ერთ-ერთი საკვანძო ვალდებულებაა ენერგოთანამშრომლობის წინაშე, რომელსაც პირდაპირი ზემოქმედება ექნება ემისიებზე. სამწუხაროდ, ენერგოეფექტიანობა არათუ ცალკე ღონისძიებად, საერთოდ არ არის ნახსენები დოკუმენტში.

## სამოქმედო გეგმა

### MT-1-2: ქარისა და მზის ენერჯის წარმოების მიმდინარე მხარდაჭერა

დაგეგმილია, ქარისა და მზის ენერჯის წარმოების მხარდაჭერა, თუმცა რაში მდგომარეობს მხარდაჭერა არ ჩანს. მაგალითისთვის, არსებობს საკმაოდ დიდი პრობლემები მსგავსი ტიპის სადგურებისთვის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით (ჰიდროენერგეტიკისგან განსხვავებით), არ არსებობს ერთიანი მიდგომა და წესები მსგავსი ტიპის წარმოების წახალისებისთვის.

### MT-3: ჰიდროენერჯის წარმოების მიმდინარე მხარდაჭერა

ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ელექტროენერგეტიკის სფეროში ემისიების შემცირებაზე მიმდინარე პროექტების მხარდაჭერით. პროექტების დიდი ნაწილი ფაქტობრივად კომერციული სექტორისაა, შესაბამისად, გაურკვეველია, რაში გამოიხატება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს როლი და მხარდაჭერა, თუ არ ჩავთვლით ე.წ. პირდაპირი გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებებს ჰესებზე, პრაქტიკას რომელსაც განსაკუთრებით პრობლემურად თვლის როგორც, ენერგოგაერთიანება, ასევე, სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი<sup>5</sup>. ამასთან, ჩამოთვლილი პროექტების ნაწილის, განსაკუთრებით ჰიდროელექტროსადგურების პროექტების, განხორციელება შეჩერებულია და გადადებულია; რომ არაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რაც სამოქმედო გეგმაშივეა ასახული: “ჰიდროენერგეტიკის მაღალი წილი განაპირობებს სეზონურ მომარაგებას, რომლის დროსაც შესაძლებელია ჭარბი ელექტროენერჯის ექსპორტი ზაფხულში, ხოლო ზამთრის პერიოდში უნდა განხორციელდეს იმპორტი. წყლის შესუსტებული ნაკადის გამო

<sup>5</sup> „საქართველოს მთავრობამ განახორციელა წარმატებული სარეკლამო ღონისძიებები და მოახერხა ინვესტიციების მოზიდვა, ძირითადად წყლისა და ქარის ენერჯის კუთხით, და მუშაობს მხარდაჭერის სქემებზე, რომელთა საშუალებითაც ცდილობს განავითაროს განახლებადი ენერჯის ახალი წყარო. ასეთი დამხმარე სქემების საფუძველია გარანტირებული ელექტროენერჯის შესყიდვის ხელშეკრულებები, რომლებიც ამახინჯებს ბაზარს და არ შეესაბამება სახელმწიფო დახმარების წესებს“. წყარო: [Energy Community, Quality of the support schemes](#)

ჰიდროენერჯეტიკის შემცირება”. ამასთან, ბოლო პერიოდში აშენებული და ექსპლუატაციაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავება მნიშვნელოვნად განსხვავდება საპროექტო სიდიდეებისგან.

სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი პრობლემური საკითხი შეფასების ინდიკატორია. შესავალ ნაწილში ხაზგასმულია, რომ “ელექტროენერჯიაში ჰიდროენერჯეტიკის მაღალი წილი განაპირობებს სემონურ მომარაგებას”, თუმცა შეფასების ინდიკატორად განსაზღვრულია რატომღაც ამ ობიექტების საშუალო წლიური გენერაცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ენერჯო ობიექტი შესძლებს საშუალო წლიურ გამომუშავებაზე გასვლას, გეგმით ეს ღონისძიება ჩაითვლება წარმატებად. მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომა პრინციპულად არასწორია და არ/ვერ უზრუნველყოფს გეგმით განსაზღვრული მიზნის მიღწევას (ემისიების შემცირებას).

როგორც წესი, ახალი ჰიდროგენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებული ენერჯის მნიშვნელოვანი წილი მოდის სწორედ წლის იმ პერიოდებზე, როცა ქვეყანაში არსებული ჰესები ისედაც ჭარბად გამოიმუშავებენ ენერჯიას, ხოლო თბოსადგურები საერთოდ არ მუშაობენ. მაგალითად, თუ ამ გეგმით განსაზღვრული 280 მეგავატიანი ნენსკრა ჰესი შეძლებს წლის განმავლობაში დაგეგმილი 1.1 მილიარდი კვტ.სთ-ის გამომუშავებას, ეს არ ნიშნავს, რომ ამ ობიექტმა ჩაანაცვლა თბოელექტროსადგურის მიერ წარმოებული 1.1 მილიარდი კვტ.სთ დენი (იმპორტირებული გამის წვის შედეგად). ცნობილია, რომ ნენსკრა ჰესზე გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ზამთრის პერიოდში ობიექტი შეძლებს დაახლოებით 260 მილიონი კვტ.სთ-ის წარმოებას, მაშინ როდესაც გამომუშავების უდიდესი ნაწილი იმ თვეებში მოხდება, როცა ისედაც ჭარბია ენერჯის გამომუშავება, თბოსადგურები კი არ მუშაობენ. შესაბამისად, შეფასების ინდიკატორად უნდა განისაზღვროს არა ობიექტის წლიური გამომუშავება, არამედ ობიექტის გამომუშავება იმ პერიოდებში, როდესაც ოპერირებს გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურები, ან ხორციელდება იმპორტი მეზობელი ქვეყნებიდან.

#### **MT-4: თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესება**

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თბოელექტროსადგურების საშუალო ეფექტიანობის გაუმჯობესებას, რაც მოიცავს ძველი ობიექტების ექსპლუატაციიდან ამოღებას. მართალია, გეგმის თანახმად, ამ ღონისძიების განხორციელება 2021 წლიდან იგეგმება, თუმცა ობიექტების შეფასების ინდიკატორი წარმოდგენილი არ არის. უცნობია გეგმაში წარმოდგენილი თბოელექტროსადგურების მიერ ბუნებრივი აირის მოხმარების მაჩვენებლებიც და ამ გამის ფასიც. ასეთი ინფორმაციის გარეშე კი, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

### **ამოცანა 2: მზადყოფნისა და შესაძლებლობების გაზრდა მომავალში დამატებითი პოლიტიკის დოკუმენტებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად**

#### **MT-5: ენერჯეტიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები**

ანგარიშის თანახმად, ღონისძიების მიზანია “ყოვლისმომცველი საყოველთაო ხედვის შემუშავება, რომელიც 2030 წლისთვის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავების საფუძველი გახდება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საქართველოს განახლებადი ენერჯის რესურსების გამოყენებაზე”. ენერჯეტიკის სექტორის განვითარების საყოველთაო ხედვის ჩამოყალიბება არის უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რომელიც წინ უნდა უძღოდეს სექტორში გასატარებელ ღონისძიებებს. წარმოდგენილი ინფორმაციით კი ირკვევა, რომ ეს ხედვა მზად იქნება პრაქტიკულად 2030 წლისთვის. მანამდე კი, სახელმწიფო გეგმავს ასობით ახალი გენერაციის ობიექტის მშენებლობას ხედვის გარეშე. გაუგებარია, გეგმაში მითითებული პერიოდიც “2015-მიმდინარე”. დოკუმენტის მიხედვით “2030 წელს შერბილების ეფექტზე” ამ ღონისძიებას საერთოდ არ ექნება გავლენა. უფრო მეტიც, ღონისძიებისთვის შეფასების ინდიკატორიც კი არ არის განსაზღვრული.

ხაზგასმულია ამავე ქმედებაში გაკეთებული ჩანაწერი, რომ ხედვის შემუშავების პროცესში “განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საქართველოს განახლებადი ენერჯის რესურსების გამოყენებაზე”, ხოლო ენერჯოეფექტიანობაზე საერთოდ სიტყვა არ არის ნათქვამი, მაშინ როდესაც ენერჯოთანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებებით ენერჯოეფექტიანობა უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

**MT-6: საქართველოს ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2019-2029 და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების ქსელის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.**

ანგარიშში ერთ-ერთ ღონისძიებად მითითებულია გადამცემი ხაზების განვითარების გეგმა, რომლის მიზანია “გადამცემი სისტემის ინფრასტრუქტურის გაძლიერება; არსებული პრობლემების მოგვარება; სამომავლო გამოწვევებზე რეაგირება და შესაძლებლობების გამოყენება; მათ შორის, განახლებადი ენერჯის წყაროების ქსელში ინტეგრაცია.” ანგარიშში წარმოდგენილია ფონური ინფორმაცია ქსელზე არსებულ ვითარებაზე და დანაკარგებზე: “2018 წელს ელექტროენერჯის გადაცემისა და განაწილების ქსელში მთლიანი დანაკარგების ოდენობამ ქსელში მიღებული ელექტროენერჯის 6.5% შეადგინა. 2017 წელთან შედარებით, გადაცემის დანაკარგები შემცირდა 2.5%-ით, ხოლო განაწილების დანაკარგები გაიზარდა 1.2%-ით”. შესაბამისად, გაუგებარია, როგორ არ ექნება ამ ქმედებაში განსაზღვრულ ღონისძიებებს პირდაპირი ზეგავლენა შერბილების ეფექტზე 2030 წელს, ან რატომ არ არის განსაზღვრული შესაბამისი შეფასების ინდიკატორი ამ აქტივობისთვის. თუ ანგარიშის ავტორებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული გეგმა უსარგებლოა, მაშინ აუცილებლად უნდა დაისვას ამ გეგმის გადახედვის საკითხი.

**MT-9: განახლებადი ენერჯის სამოქმედო გეგმა**

განახლებადი ენერჯის სამოქმედო გეგმა, მართალია, მომზადდა 2018 წელს, მაგრამ არ დამტკიცებულა და ფართო საზოგადოებისთვის მხოლოდ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი<sup>6</sup>. დოკუმენტში მითითებულია, რომ “ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის განსაზღვრავს წესებს ელექტროსადგურების იმ შეთავაზებების შესახებ, რომლებიც განსხვავდება საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებისაგან”, რაც გაურკვეველი ჩანაწერია გამომდინარე იქედან, რომ 2018 წლის დოკუმენტში მსგავსი არაფერია განსაზღვრული. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმაშიც არ არის განსაზღვრული რაიმე ტიპის დახმარება განახლებადი ენერჯიებისთვის, მათ შორის, რეგულაციური; და აქცენტი მთლიანად გადატანილია დონორებზე და კერძო სექტორზე<sup>7</sup>. ამასვე მიუთითებს, დაგვიანებული ჰარმონიზაცია ევროკავშირის განახლებადი ენერჯიების დირექტივასთან და კანონის მიღება 2019 წლის დეკემბერში<sup>8</sup>.

**MT-10: ვალდებულებები ენერგეტიკული გაერთიანების წინაშე**

საქართველომ 2020 წლის ბოლომდე უნდა მოამზადოს 2021-2030 წლების კლიმატისა და ენერგეტიკის ეროვნული გეგმა ენერგეტიკული გაერთიანების წინაშე აღებული ვალდებულებით<sup>9</sup>. შესაბამისად, მას ექნება პირდაპირი ზეგავლენა ენერგეტიკის სექტორის განვითარებაზე და ამ სექტორიდან ემისიების შემცირებაზე<sup>10</sup>.

<sup>6</sup> [განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა](#), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2019

<sup>7</sup> [Comments on National Renewable Energy Action Plan \(NREAP\) of Georgia](#), Green Alternative, 2018,

<sup>8</sup> [National Renewable Energy Action Plan and progress towards 2020](#), Energy Community

<sup>9</sup> [National Energy and Climate Plan in Georgia tackled during EU4Energy high level meeting in Tbilisi](#), Energy Community, 2020

<sup>10</sup> [Study on 2030 overall targets for the Energy Community](#), Energy Community, 2019